# ახალი ხარაგაული

**№320 (12), 24 მაისი, 2016 წ.**


## „ფიზიკური გარემოს მიღმა“ - ხარაგაულმა საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა

19 მაისს ხარაგაულში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, საქართველოში შვედეთის საელჩოს, შვედური ინსტიტუტისა და რადიო „იმედის“ ორგანიზებით მოეწყო.

კონფერენციას შვედეთის ელჩი საქართველოსა და სომხეთში - მარტინა ქვიქი, შვედი ჟურნალისტი, უფლებადამცველი - მარტინ ჰენნეუსი, იმერეთის გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძე და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.



შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა, სამოქალაქო აქტივიზმი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა, ინკლუზიური განათლება, ადრეული ინტერვენცია, შშმ პირთათვის სტატუსის მინიჭება,მედიისა და სახელმწიფოს როლის მნიშვნელობა - ეს იყო ის ძირითადი თემები, რომელთა შესახებაც მომხსენებლებმა პრეზენტაციები წარმოადგინეს. კონფერენციაზე გამომსვლელმა ორგანიზაციებმა დამსწრე საზოგადოებას შეზღუდული შესაძლებლობების თემაზე განხორციელებული საქმიანობის ანგარიში გააცნეს. მათ ასევე სამომავლო გეგმები და იდეები წარმოადგინეს. კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ შშმ პირები, როგორც ადგილობრივი, ასევე იმერეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან.

საერთაშორისო კონფერენციის თანამომხსენებელი იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, რომელმაც წარმოადგინა პრეზენტაცია - რა გაკეთდა და რა იგეგმება შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში.

„მუნიციპალიტეტი ბევრ რამეს აკეთებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. 2015 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან შშმ პირებისათვის 69 900 ლარი დაიხარჯა. აქედან 38 ათასი ლარი ბორის სკოლა-პანსიონში „დღის ცენტრის“ მოსაწყობად. „დღის ცენტრი“ ფუნქციონირებისათვის უკვე მზადაა, სადაც ასევე მოხდება უსინათლოებისთვის ბრაილის შრიფტის სწავლების პროგრამის განხორციელება. მიმდინარე წლის ბიუჯეტში ჩადებულია თანხები ვერტყვიჭალაში „დღის ცენტრის“ ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. „დღის ცენტრის“ გაკეთება იგეგმება ასევე დაბის ტერიტორიაზე. ხარაგაულში შშმ პირებისათვის ბევრი ღონისძიება ტარდება, კულტურული, სპორტული თუ საგანმანათლებლო მიმართულებით. ასეთი ტიპის აქტივობები კი ხელს უწყობს, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა საზოგადოებაში ადაპტირებას. ადგილობრივი თვითმმართველობა აქტიურად თანამშრომლობს შშმ პირების თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ რამდენიმე პირს ეტლები გადაეცათ. მათ ასევე ჩაუტარდათ სამედიცინო გამოკვლევები. რაც შეეხება სოციალურ პროგრამებს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან შშმ პირებისათვის სხვადასხვა სოციალური პაკეტები იცემა“.

გამგებელმა ასევე ისაუბრა კონფერენციის მნიშვნელობაზე და დიდი მადლობა გადაუხადა შვედეთის საელჩოს: „ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ კონფერენციას ხარაგაულის და მთლიანად საქართველოსთვის. სასიამოვნოა შვედეთის ელჩის, მარტინა ქვიქის, ხარაგაულში ჩამობრძანება. მიმაჩნია, რომ არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები. ისინი ნამდვილად აქტიური და სრულფასოვანი ადამიანები არიან. მათი ნიჭი და უნარი მიმართულია იმისაკენ, რომ საზოგადოების სხვა ნაწილთან ერთად მათაც შეძლონ თავიანთი წვლილის შეტანა, როგორც საზოგადოებრივ განვითარებაში, ასევე სხვა სფეროებში. დღევანდელი დღე დასტურია იმისა, რომ ჩვენ არ ვართ ჩაკეტილი საზოგადოება. დღევანდელი დღე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან ურთიერთობების ჩამოყალიბების და ფორმების სერიოზულობაზე მიანიშნებს.“ - აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში პროექტის „AccessAbility - ფიზიკური გარემოს მიღმა“ ჩვენება გაიმართა. პროექტის კოორდინატორი გახლდათ მაია ბერაძე-ჯონსონი, ხოლო პროექტის მოდერატორი, რადიო „იმედის“ ჟურნალისტი ნინო მეუნარგია.

„AccessAbility - ფიზიკური გარემოს მიღმა“ - ასე ეწოდა ფოტო-გამოფენას, რომელიც კონფერენციის ფარგლებში, კინოთეატრის ფოიეში მოეწყო. გამოფენა შვედურმა ინსტიტუტმა ქართველ პარტნიორებთან ერთად მოამზადა. გამოფენაზე ნაჩვენები იქნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 22 პირის ფოტო. მათ შორის იყო 14 შვედი და 8 ქართველი შშმ პირის ფოტო პერსონალური ისტორიებით. აღსანიშნავია, რომ სწორედ 8 ქართველს შორისაა ხარაგაულელი გოგა ხახალაშვილის ფოტო, ძალზე ემოციური ისტორიით. გამოფენის ავტორია შვედი ჟურნალისტი, უფლებადამცველი, მარტენ ჰენნეუსი. მისი თქმით, ეს ადამიანები იმსახურებენ იყვნენ საზოგადოების ღირსეული წევრები და იგი მზად არის, შვედეთის გამოცდილება ამგვარ საკითხებში საქართველოს გაუზიაროს.

გამოფენას ხარაგაულის კინოთეატრში შვედეთის ელჩი საქართველოში, მარტინა ქვიქი და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი, ირინე ჩხეიძე მასპინძლობდნენ. გამოფენა ხარაგაულის კინოთეატრში 12 ივნისამდე გაგრძელდება.

კონფერენციის მნიშვნელობაზე ისაუბრა შვედეთის ელჩმა საქართველოსა და სომხეთში, მარტინა ქვიქიმ: „საქართველომ უკვე მოაწერა ხელი გაეროს კონვენციას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების გათანაბრების შესახებ დანარჩენ მოქალაქეებთან. საქმიანობა ამ მიმართულებით დაწყებულია და მინდა იმედი გამოვთქვა, რომ საქართველო ამ ჭრილში, სწრაფი ნაბიჯებით ივლის წინ.“

„ჩვენ ვცდილობთ, შევქმნათ ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის. ეს ხელმისაწვდომობა კი უნდა იყოს ღირსეული! სწორედ ღირსება არის ამ კონფერენციის მთავარი თემა.“ - განაცხადა გუბერნატორის მოადგილემ, იოსებ ხახალეიშვილმა და აქვე დასძინა, რომ „ არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები-არსებობს მხოლოდ შეზღუდული გარემოებები. ჩვენ სწორედ ამ შეზღუდული გარემოებების აღმოსაფხვრელად უნდა ვიმუშაოთ, რათა ჩვენივე საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ ღირსეული და სრულყოფილი ცხოვრება.“

კონფერენცია საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა. კინოთეატრის შესასვლელში მთელი დღის განმავლობაში იდგა შესაწირი ყუთი ხარაგაულელ გოგა კვინიკაძის დასახმარებლად, შეგროვდა მცირედი თანხა, რომელიც მის პირად ანგარიშზე გადაირიცხება. მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, კონფერენციის დასასრულს გააჟღერა ინფორმაცია, რომ მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან კიდევ ერთხელ მოხდება ფულადი თანხის გაცემა გოგა ხახალაშვილისა და გოგა კვინიკაძის დასახმარებლად.

საერთაშორისო კონფერენცია და ფოტოგამოფენა „AccessAbility - ფიზიკური გარემოს მიღმა“ ხარაგაულში „ევროპის დღეების“ ფარგლებში ჩატარდა. შვედეთის ინსტიტუტის მიერ შშმ პირებს საჩუქრები დაურიგდათ.

**მარიანა ბურჯალიანი**

## ხარაგაულში ვიტალი დარასელიას მონუმენტი გაიხსნა



ხარაგაულის სოფელ უბისაში ლეგენდარული ფეხბურთელის, ვიტალი დარასელიას, სახელობის მონუმენტი გაიხსნა. ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლის ავტორისთვის 1982 წლის 13 დეკემბერი საბედისწერო აღმოჩნდა. 25 წლის ახალგაზრდა სპორტის ოსტატი, ტრაგიკულად ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მისი გარდაცვალების ადგილზე შეკრებილმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენა ვიტალი დარასელია და მისი უდიდესი ღვაწლი ქართული ფეხბურთის ისტორიაში. გარდაცვლილი მეგობრების სულის მოსახსენიებელი პარაკლისი აღავლინა მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მეუფე მელქისედეკმა (ხაჩიძე). სოფელ უბისაში ვიტალი დარასელიას სახელობის მონუმენტის გახსნას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი, ლეგენდარული ფეხბურთელის შვილი ვიტალი დარასელია, ვეტერანი ფეხბურთელები, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„ვიტალი დარასელია ქართული ფეხბურთის ლეგენდაა. მას შესაბამისი პატივი უნდა მივაგოთ და ხარაგაულის მუნიციპალიტეტი ყველაფერს გააკეთებს ამისთვის. ამ ადგილას, სადაც ვიტალის მონუმენტი გავხსენით, უახლოეს მომავალში მისი სახელობის სკვერი მოეწყობა. დღევანდელი დღე ნამდვილად საამაყოა, როგორც ხარაგაულისთვის, ასევე მთელი საქართველოსთვის“ - აღნიშნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა.



ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა, მადლობა გადაუხადა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და აღნიშნა: „დღევანდელი დღე არის როგორც მტკივნეული, ასევე - საამაყო. ყველას მოგეხსენებათ ის ტრაგიკული დღე, როდესაც ვიტალი დარასელია გარდაიცვალა. მან გული დასწყვიტა არა მხოლოდ საფეხბურთო საზოგადოებას, არამედ სრულიად საქართველოს. ის ნამდვილად საამაყოა ყველა ჩვენთაგანისთვის.

შეგახსენებთ, რომ ვიტალი დარასელიამ თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩზე გადამწყვეტი გოლი გაიტანა, რომელმაც თბილისის „დინამოს“ ყველაზე დიდი საკლუბო ტიტული მოუტანა. ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავი ვიტალი დარასელია 2016 წლის 9 ოქტომბერს 60 წლის გახდებოდა.

**ეკა შავიძე**

## ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში პატრიარქ ქრისტეფორე III-ს სახელობის მუზეუმი გაიხსნა



17 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ქრისტეფორე III (1927-1932წწ) დაბადებიდან 143-ე წლისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა. ამავე დღეს ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში პატრიარქის სახელობის მუზეუმი გაიხსნა. საზეიმო ღონისძიებას მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მეუფე მელქისედეკი (ხაჩიძე), ეპარქიის სამღვდელოება, წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის დირექტორი დეკანოზი მირიანი (სამხარაძე), განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგიონალური დეპარტამენტის უფროსი, ქეთევან გრიგოლია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მანანა ბარბაქაძე, გამგებლის მოადგილეები: პაატა გოგოლაძე, თეიმურაზ ჩხეიძე, დავით დევდარიანი, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე ასევე იმყოფებოდა, თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის პედაგოგი, ქრისტეფორეს შვილიშვილი, დავით ციცქიშვილი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქრისტეფორე III სოფელ ვერტყვიჭალაში დაიბადა. ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში პატრიარქის სახელობის მუზეუმის გახსნის იდეა ამავე სკოლის ისტორიის პედაგოგს, თამაზ გოგოლაძეს და სკოლის დირექტორს, ლენა აბაშიძეს, ეკუთვნით. ქალბატონმა ლენამ იდეის განხორციელებისათვის ძალ-ღონე არ დაიშურა და იგი სისრულეში მოიყვანა.

პატრიარქის დაბადებიდან 143-ე წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება საკმაოდ შთამბეჭდავად წარიმართა. სკოლის მოსწავლეებმა ქართული მელოდიებით მოხიბლეს დამსწრე საზოგადოება. საღამოზე წარმოდგენილი იყო ასევე ქორეოგრაფიული ნომრები.

ღონისძიებაზე პატრიარქის ცხოვრების შესახებ ისაუბრა მეუფე მელქისედეკმა(ხაჩიძე):

„პატრიარქმა, ქრისტეფორე ციცქიშვილმა, ურთულეს პერიოდში ჩაიბარა საქართველოს ეკლესია. ეს იყო დრო, როცა იდევნებოდა ყველა და ყველაფერი, რაც ეკლესიას უკავშირდებოდა. მღვდელმთავარმა ასეთ რთულ პერიოდში ღირსეულად განვლო ცხოვრება. მიხარია, რომ მეოცე საუკუნეში ხარაგაულელებს ორი უდიდესი პატრიარქი ჰყავდა“.



დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა და მადლობა გადაუხადა ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ლენა აბაშიძეს, მეტად მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებისათვის.

„დღევანდელი დღე ნამდვილად გამორჩეულია. უწმინდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III იყო ხარაგაულელი და ეს ჩვენთვის ბევრს ნიშნავს. ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას ადგილობრივი ხელისუფლება ყოველთვის ხელს შეუწყობს. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ლენას, რომელმაც იტვირთა ეს საკუთარ თავზე. რეჟიმი, რომელმაც შეიწირა საქართველოს გონიერი საზოგადოების დიდი ნაწილი, მსახვრალი ხელით შეეხო ასევე ჩვენს სამღვდელოებას. ხარაგაულელები განსაკუთრებულ პატივს მივაგებთ ჩვენს მეუფეს და დარწმუნებული ვარ იმდროინდელ საზოგადოებაში ბევრი იქნებოდა, ვინც ნამდვილად თანაუგრძნობდა მას ჩუმად, რადგან მაშინ ხმამაღლა ამის გამოხატვა ძალიან საშიში იყო. თაობებმა იბრძოლეს იმისათვის, რომ საქართველო ყოფილიყო თავისუფალი. უფალმა ინებოს ისეთი შვილები, როგორიც ჩვენი პატრიარქი გახლდათ მრავალი აღეზარდოს საქართველოს“.

**ეკა შავიძე**

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა



14 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ინიციატივითა და დაბის N3 საჯარო სკოლის მხარდაჭერით ხარაგაულში უფასო სამედიცინო აქცია გაიმართა. სამედიცინო აქცია საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ არსებულმა სამედიცინო ბრიგადამ განახორციელა. აქციის ფარგლებში პაციენტებს უფასოდ მოემსახურნენ თბილისის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების მაღალკვალიფიციური ექიმები: კარდიოლოგები, თერაპევტი, ენდოკრინოლოგი, ოფთალმოლოგი, პედიატრი, გინეკოლოგი, ოტოლარინგოლოგი. პაციენტებს ჩაუტარდათ უფასო ექოსკოპიური, კარდიოლოგიური და ლაბორატორიული გამოკვლევები. მათ ასევე, საჭიროებისამებრ, დაურიგდათ მედიკამენტები, რომელიც ასოციაციას შპს „ავერსმა” გადასცა. საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობა მიიღეს ბერძნული სამედიცინო ფონდ „ჰიპოკრატეს“ ექიმებმაც. მობილურ ბრიგადას თან ახლდნენ ასოციაციის თავმჯდომარე ქალბატონი მაია კვეზერელი-კოპაძე და ამავე ორგანიზაციის ბუღალტერი ნონა სოსანაშვილი.

აქციაში აქტიურად იყვნენ ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე თეიმურაზ ჩხეიძე, გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ნანა კიკნაძე, ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ დირექტორი ეკა შავიძე და დაბის N3 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნანა კვინიკაძე.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ 23 წლის განმავლობაში ახორციელებს სხვადასხვა საქველმოქმედო პროგრამას. ასოციაციის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება ჯანმრთელობის დაცვა გახლავთ. წლების განმავლობაში ასოციაციასთან არსებული მობილური სამედიცინო ბრიგადა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობას უფასოდ ემსახურება.

მუნიციპალიტეტის გამგეობა მადლობას უხდის საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თავმჯდომარეს, ქალბატონ მაია კვეზერელს და ასოციაციასთან არსებულ მობილური სამედიცინო ბრიგადას, ხარაგაულში ასეთი მნიშვნელოვანი აქციის განხორციელებისათვის.

**მარიანა ბურჯალიანი**

# ხარაგაულში ახალი პროექტი „მიიღე მონაწილეობა მართვაში" განხორციელდება



ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო ხარაგაულში ახალი პროექტის - „მიიღე მონაწილეობა მართვაში" - განხორციელებას იწყებს. პროექტის ფარგლებში ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორი, ნინო ხუხუა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს კობა ლურსმანაშვილს შეხვდა. შეხვედრას პროექტის ასისტენტი მაკა ცერცვაძე, აღმასრულებელი დირექტორის ასისტენტი, დავით სარალიძე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები: პაატა გოგოლაძე, დავით დევდარიანი, თეიმურაზ ჩხეიძე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მანანა ბარბაქაძე ესწრებოდნენ. შეხვედრის მიზანი პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების გაცნობა გახლდათ.

როგორც შეხვედრაზე ქალბატონმა ნინო ხუხუამ განმარტა, პროექტი ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებების პრაქტიკაში განხორციელებას. კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობაში მოქალაქეთა მონაწილეობის მიზნით, მუნიციპალიტეტებში „დასახლების საერთო კრებები" და მრჩეველთა საბჭოები შეიქმნება.

შეგახსენებთ, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში" შეტანილი ცვლილებების მიხედვით საერთო კრება უფლებამოსილია, იმსჯელოს დასახლებისთვის მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე და მუნიციპალიტეტის ორგანოებში წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი წინადადებები.

პროექტის მიმართ მხარდაჭერა გამოხატა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა და დასძინა, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა ყოველთვის მზადაა ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტში ასეთი მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელებას.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო ახალ პროექტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში განახორციელებს. კონკრეტულად, რომელ სოფელზე გაკეთდება არჩევანი, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტი „მიიღე მონაწილეობა მართვაში" აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მიერაა დაფინანსებული.

**ეკა შავიძე**

# ეროვნული ინტელექტ - ჩემპიონატი „ეტალონი" დასრულდა

21 მაისს ეროვნული ინტელექტ - ჩემპიონატი „ეტალონი" დასრულდა. „ეტალონი მოსწავლის" ტიტულის მოსაპოვებლად საქართველოს 82 მუნიციპალიტეტის მოსწავლე იბრძოდა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტს კი მარელისის საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლე, მარიამ ფცქიალაძე (დამრიგებელი ეკა ქურდაძე) წარმოადგენდა. მარიამმა პირველ ცხრა ადგილზე გასულ მოსწავლეთა შორის დაიკავა ადგილი.



ხარაგაული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონის" ფინალური თამაშისთვის აქტიურად ემზადებოდა. „ხარაგაულის ეტალონი მოსწავლის" მარიამ ფცქიალაძის საგულშემატკივროდ სპორტის სასახლეში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, საჯარო სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან 154 ბილეთის შეძენისა და ტრანსპორტირების ხარჯი დაფინანსდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, დავით კიკნაძე: „ჩვენთვის საამაყოა მარიამის წარმატება. აღსანიშნავია, რომ დილით მარიამმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოცდა ჩააბარა, რომელშიც 9,8 აიღო. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით, მარიამს მივულოცო წარმატებები, ხოლო ხარაგაულის ადგილობრივ ხელისუფლებას გადავუხადო მადლობა ბილეთების შეძენისა და ტრანსპორტირების დაფინანსებისთვის. დღეს მარიამს მთლიანად ხარაგაული, სპორტის სასახლეში კი 154 ხარაგაულელი გულშემატკივრობდა. საამაყოა, რომ მან საუკეთესო ცხრა მოსწავლეთა შორის დაიკავა ადგილი."

„ბედნიერი ვარ, რომ გავიმარჯვე, მეამაყება, რომ ფინალში ხარაგაულის სახელით ვიასპარეზე, ეს ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა. მინდა, მადლობა გადავუხადო "ეტალონის" ავტორს და მთლიანად შემოქმედებით გუნდს იმისათვის, რომ ახალგაზრდებს წარმატებისკენ გზას უკვალავენ, ეხმარებიან თავიანთი თავისა და ცოდნის გამოვლენაში. მოხარული ვიქნები, თუ ეს პროექტი კვლავ დიდხანს გაგრძელდება" - აცხადებს ხარაგაულის "ეტალონი მოსწავლე" მარიამ ფცქიალაძე.

ეროვნული ინტელექტ - ჩემპიონატის გამარჯვებული, საქართველოს „ეტალონი მოსწავლე" ბათუმის კერძო სკოლა „ნიკეს" მე-11 კლასის მოსწავლე, ანრი ფაღავა გახდა, რომელმაც 31,11 წამში 75 ქულის მოპოვება შეძლო. ანრის ფულადი პრიზი, 20 000 ლარი გადაეცა.

მეორე ადგილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვედა კვირიკეს საჯარო სკოლის მოსწავლემ, ნია შაქარაშვილმა დაიკავა, რომელსაც საჩუქრად 6 000 ლარი გადასცეს.

ინტელექტ-შეჯიბრის ფინალში მესამე ადგილზე ლენტეხის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლე, გაგა გვიჟიანი გავიდა რომელსაც საჩუქრად ფულადი პრიზი, 4 000 ლარი, გადაეცა.

საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი 2015 წლის შემოდგომიდან დაიწყო. პროექტის ფარგლებში "ეტალონის" ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი, შემოქმედებით გუნდთან ერთად საქართველოს ყველა ქალაქსა და მუნიციპალიტეტს ეწვია, რომელიც თითოეულ მუნიციპალიტეტში ავლენდა "ეტალონ მოსწავლეებს".

**თამარ მაღრაძე**

# ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ოთხ მოქალაქეს მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსი მიენიჭა

13 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოს რიგით მესამე სხდომა გაიმართა.

საბჭომ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 4 მოქალაქის, სოფელ გოლათუბანში მცხოვრებ გიორგი ღამბაშიძის, მანანა ბერუაშვილის, ნელი ლაცაბიძისა და ზაური ლაცაბიძის ინდივიდუალური განცხადებები - მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭო გახლავთ სათათბირო ორგანო, რომელიც შექმნილია მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ. აღნიშნული საბჭო განიხილავს ინდივიდუალურ განცხადებებსა და გასცემს რეკომენდაციებს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის საკითხებზე. საბოლოო გადაწყვეტილებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი იღებს.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარე გახლდათ გრიგოლ ჭიპაშვილი (წარმომადგენელების კოორდინაციის განყოფილების უფროსი), სხდომის თავმჯდომარის მოადგილე ლევან ნანიტაშვილი (საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი) სხდომის მდივანი ნინო ფერაძე (ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი), სხდომის წევრები: ალექსანდრე ტაბატაძე (სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი), ზურაბ კვინიკაძე (წარმომადგენელების კოორდინაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტი), თამარ სულაქველიძე (იურდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი), სავლე შარიქაძე (აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მთავარი სპეციალისტი).

2016 წლის 1იანვრიდან დღემდე, ინდივიდუალური განაცხადის საფუძველზე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი 15 პიროვნებას მიენიჭა.

# ხარკოვის მე-8 საერთაშორისო ტურისტულ ფორუმზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩეველი ტურიზმის საკითხებში მამუკა ჭიპაშვილი იმყოფებოდა

11-13 მაისს უკრაინის ქალაქ ხარკოვში მე-8 საერთაშორისო ტურისტული ფორუმი მიმდინარეობდა. ფორუმზე მიწვეული იყო ქუთაისის, თბილისისა და იმერეთის სამკაციანი დელეგაციები. იმერეთის დელეგაციის ერთ-ერთი წევრი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩეველი ტურიზმის საკითხებში მამუკა ჭიპაშვილი გახლდათ. აღსანიშნავია, რომ მე-8 საერთაშორისო ტურისტულ ფორუმში 12 ქვეყნის 26 ქალაქის 60-მდე დელეგატი მონაწილეობდა. ფორუმში მონაწილე დელეგაციის წევრებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები ტურისტულ საკითხებზე.



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩევლის, მამუკა ჭიპაშვილის, ინფორმაციით, იმერეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, იმერეთის რეგიონის კოორდინატორმა ტურიზმის საკითხებში, კონსტანტინე ჭარხალაშვილმა, იმერეთის ტურისტული პოტენციალის შესახებ წარადგინა პრეზენტაცია, რომელმაც დამსწრეთა მხრიდან განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია. „პრეზენტაციაში ხარაგაულიც იყო წარმოდგენილი. საუბარი იყო ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკზე, ასევე ხარაგაულის ტერიტორიაზე არსებულ მნიშვნელოვან ისტორიულ და გეოგრაფიულ ღირსშესანიშნაობებზე. ფორუმის მონაწილეებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ქუთაისში აეროპორტის არსებობის საკითხი. მათი მოსაზრებით აეროპორტის საშუალებით ტურისტებს იმერეთის ცენტრში შემოსვლა უფრო გაუადვილდებათ. ფორუმზე საუბარი იყო ქუთაისში ტურისტული ცენტრის მშენებლობის შესახებაც. ვფიქრობ, ეს ფაქტი ხარაგაულისთვისაც მნიშვნელოვანია, რადგან ქუთაისში შემოსული ტურისტი, რა თქმა უნდა, მარტო ქუთაისის ღირსშესანიშნაობების ნახვით არ შემოიფარგლება და მათ სურვილი გაუჩნდება, რომ ეწვიონ იმერეთის რეგიონში არსებულ მუნიციპალიტეტებს, მათ შორის - ხარაგაულს."

მამუკა ჭიპაშვილის განცხადებით, ხარკოვში ვიზიტმა მას დიდი გამოცდილება მისცა. გაეცნო 12 ქვეყნის წარმომადგენლის პრეზენტაციას და მათ ხედვებს ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის თუ რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო.

# საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ უბისის მონასტრის სარესტავრაციო სამუშაოები დაათვალიერა



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ილია დარჩიაშვილმა და მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა, ჯუანშერ ბურჭულაძემ უბისის მონასტერთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისა და მონასტრის სარესტავრაციო სამუშაოები დაათვალიერეს. აღნიშნულ სამუშაოებს მუნიციპალური განვითარების ფონდი, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით ახორციელებს.

პროექტის მიზანი საქართველოში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნების ხელშეწყობაა.

პროექტის ფარგლებში რესტავრაცია ჩაუტარდება უბისის მონასტერს, ასევე, მოეწყობა საინფორმაციო ცენტრი, ავტოსადგომი, მონასტრამდე მისასვლელი გზა და სანიტარული წერტილები. პროექტის ღირებულება 1 422 609 ლარია.

# წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს „რკინის ჯვარი" 300-მდე ადამიანმა მოილოცა

12 მაისს, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, ხარაგაულში „რკინის ჯვარი" 300-მდე ადამიანმა მოილოცა. ტურიზმის ცენტრის დირექტორის, ბერიკა თურმანიძის ინფორმაციით, ხარაგაულელ ახალგაზრდებში გაჩნდა იდეა 12 მაისი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე, ისეთი მასშტაბების მქონე დღესასწაული გახდეს, როგორიცაა ლომისობა და ვლაქერნობა.

ბერიკა თურმანიძე: ,,ჩვენი სურვილია, ანდრიაობის დღესასწაულმა მთელი საქართველო მოიცვას და, რაც შეიძლება, მეტმა ადამიანმა შეძლოს ამ წმინდა ადგილის მოლოცვა. ეს დღესასწაული მნიშვნელოვანია ხარაგაულისთვის. მორწმუნე ადამიანებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ მოილოცონ ისეთი წმინდა ადგილი, როგორიცაა „რკინის ჯვარი". მსვლელობაში ჩართულმა მონაწილეებმა ასევე იხილეს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ულამაზესი ბუნება. ძალიან კარგი ტური გამოგვივიდა."

14 წლის წინ, 12 მაისს, ხარაგაულელი შოთა ხარატიშვილის ინიციატივით, „რკინის ჯვარზე" მოსალოცად ხარაგაულელი ახალგაზრდები პირველად ავიდნენ. ამის შემდეგ ,,რკინის ჯვარზე" მსვლელობა ტრადიციად ჩამოყალიბდა. წლების განმავლობაში იზრდებოდა ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართულობა. უკვე 14 წელია, ყოველ 12 მაისს, ახალგაზრდების ჯგუფი ,,რკინის ჯვარზე" ადის და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ნაკვალევს მოილოცავს.

„წელს ამ დღესასწაულს გაცილებით მეტი ადამიანი შეუერთდა. პილიგრიმულ ტურში პირველად მიიღეს მონაწილეობა გოგონებმაც. წინა წლებში მსვლელობა ორი დღე გრძელდებოდა და მანდილოსნებისთვის ბუნებრივი პირობების გამო ,,რკინის ჯვრის" მოლოცვა რთული იყო. წელს, რადგან ერთდღიანი მსვლელობა მოეწყო და გადაადგილება მანქანებით მოხდა, მათთვისაც უფრო მოსახერხებელი იყო მგზავრობა." - აცხადებს შოთა ხარატიშვილი, რომელიც ამ იდეის ერთ -ერთი ავტორი და სულისჩამდგმელია.



საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სასწაულმოქმედი ხატი დაწერიდან სხვადასხვა ეპარქიაში მოგზაურობდა, ხოლო 2003 წელს, როდესაც წმინდა მოციქულის ხატმა მირონდენა დაიწყო, პატრიარქის კურთხევით იგი თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში დაბრძანდა. წმინდა ანდრია პირველწოდებულის მირონმდინარე ხატი სიონის საკათედრო ტაძრიდან 11 მაისს წამოაბრძანეს. იმავე დღეს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველო სახლში დააბრძანეს, სადაც ხატს პარაკლისი იღუმენმა ანტონმა (სულთანაშვილი) გადაუხადა.

წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზის მომლოცველნი 12 მაისს „რკინის ჯვრისაკენ" ხარაგაულიდან დილის 8 საათზე დაიძრნენ.

აღსანიშნავია, რომ ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ტრანსპორტირებისთვის 2500 ლარი დაიხარჯა.

**მარიანა ბურჯალიანი**

# „ჩვენ ძლიერი ფესვები ვართ დედა საქართველოსი"

უაღრესად დატვირთული და შინაარსიანი დღეები იყო ხარაგაულის N3 საჯარო სკოლაში (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნანა კვინიკაძე). ლამაზი ლექსებით, სიმღერებითა და ცეკვებით გააცილეს ტკბილი ქართული ანბანი პირველკლასელებმა (პედაგოგი ნანა ნებიერიძე). უზადოდ რომ წერენ, კითხულობენ და მეტყველებენ ანცი გოგო - ბიჭები ეს მასწავლებლის თავდადებული შრომის შედეგია.



ორიგინალურად დაუკავშირა მცირეკონტიგენტიან მეთორმეტეკლასელთა „ბოლო ზარს" მეოთხეკლასელთა ზეიმი „ჩვენ ძლიერი ფესვები ვართ დედა საქართველოსი" დამრიგებელმა თამარ სხილაძემ. თამარ მასწავლებელმა მეხუთე კლასისაკენ რვა მოსწავლე გააცილა, სანაცვლოდ კი, ახალი სასწავლო წლიდან პირველ კლასში 21 მერცხალთან მოუწევს მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ „ბოლო ზარის" ზეიმს მეთორმეტეკლასელი სამი მოსწავლე წარმართავდა მათ 30 მოსწავლის დონეზე წარმოადგინეს ეს ლამაზი წუთები. ვის დაავიწყდება მათი ლიდერი თორნიკე კურტანიძე და მისი „მხარდამჭერები" მაკა ჩუბინიძე და გიორგი გოგოლაძე. მეთორმეტეკლასელებს თბილი ბუდიდან აფრენა მიულოცა დამრიგებელმა, თამარ მაქაძემ და მათ წარმატებები უსურვა. სკოლიდან მიმავალი გზა დაულოცეს მოსწავლეებს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნაირა კვინიკაძემ, ამავე სკოლის პედაგოგებმა და მშობლებმა.

**თამარ მაღრაძე**

# შეხვედრა „აკაკის ლანდის“ ავტორთან

დარბაზს ეფინება ჰანგები რევაზ ლაღიძის ცნობილი მელოდიიდან „ჰიმნი ქუთაისს.“ უჩვეულო სიხარული და აღტაცება იხატება ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა სახეებზე... ცოტა ხანიც და ტაშის გრიალით ხვდებიან საპატიო სტუმარს, ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ელგუჯა თავბერიძეს, პოეტ გიზო თავაძეს, მათ მეუღლეებს.

-მოხარული ვართ, რომ ვმასპინძლობთ ბატონ ელგუჯა თავბერიძეს, ბატონ გიზო თავაძეს, მათ თანმხლებ ქალბატონებს. ასეთ პიროვნებებთან ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის შეხვედრა ძალზე საინტერესო და სასარგებლოა. ამჯერად მწერალ ელგუჯა თავბერიძესთან შეხვედრის იდეა სრულიად საქართველოსათვის საამაყო პიროვნებას, ჩვენი სკოლის აღზრდილს, ქალბატონ იზა ვეფხვაძეს, უკავშირდება. ქალბატონი იზა ნამდვილად ღვთის სათნო საქმეს ემსახურება. ვინც ქალბატონ იზას უდგას გვერდით კეთილ საქმეში, ის ჩვენთვის უაღრესად დასაფასებელი პიროვნებაა. - აღნიშნა მესამე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა ნანა კვინიკაძემ.

-დღეს უაღრესად ბედნიერია ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლა, ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობა. ჩვენ ვხვდებით უნიჭიერეს პროზაიკოსს, ბატონ ელგუჯა თავბერიძეს. იგი ცამეტი წიგნის ავტორი და ხუთი ცნობილი პრემიის (ნიკო ნიკოლაძის, მემედ აბაშიძის, გიორგი შარვაშიძის, აბუსელიძე ტბელის, საბას) ლაურეატია. ასევე გახლავთ ჟურნალების „ომეგასა“ და „ოლეს“ და საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიების ლაურეატი. მისი თაოსნობით 2007 წელს ქუთაისში დაარსდა ცნობილი გამომცემლობა-სტამბა „ხომლი-ენ“. 2010 წლიდან იგი ტელეკომპანია „რიონში“ უძღვება ახალი წიგნების მიმოხილვას.



ამჯერად ჩვენი მწერალთან შეხვედრის უმთავრესი მიზანია შთამბეჭდავი ბიოგრაფიული რომანი „აკაკის ლანდი“, რომლის მკითხველი უმალვე დარწმუნდება, თუ რამდენი რამ არ გვცოდნია ჩვენს უსაყვარლეს მგოსანზე. როგორც ამ საინტერესო წიგნის რედაქტორი, ლიტერატურის მკვლევარი, ბატონი როსტომ ჩხეიძე აღნიშნავს: „მიმზიდველი თხრობა ამოზრდილია იმ უამრავ „წვრილმანზე“, რომელნიც ავტორის მიერაა მიგნებული ძველი პერიოდიკისა და საარქივო მასალების გულმოდგინე შესწავლის მეოხებით, დაზუსტებული, შევსებული და შთამბეჭდავად გაცოცხლებული; და ამიტომაც კრთის თხრობიდან ასე ძალუმად ეპოქის სული და წარმოისახება პერსონაჟთა მრავალფეროვანი გალერეაც და აკაკი წერეთლის მონუმენტური ფიგურაც, როგორც მღელვარე საზოგადოებრივ - პოლიტიკურ - კულტურულ მოვლენათა შუაგულში მდგარი და საიმედო მეგზური მომავლისაკენ. მოსწავლეები მიზანმიმართულად საუბრობენ წიგნში მოცემული ნოველების შესახებ მეთერთმეტე კლასის წარჩინებულმა მოსწავლემ, ნინო ჭყოიძემ, შთამბეჭდავად გამოხატა, თუ რატომ ოცნებობდა აკაკი კონრადობაზე (ნოველა „ის კონრადობას ნატრობდა“). განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა ნოველას „ან განჯაში, ანდა საიქიოში“ რომელშიც ორი დიდი მამულიშვილის განსჯაა ქვეყნის მომავალზე. „ისინი განჯაში აღარ შეხვედრიან, საიქიოში ალბათ ახლაც მუსაიფობენ“, ამ ფრაზით ამთავრებს მწერალი აღნიშნულ ნოველას (მონაწილეები: მონიკა ბუცხრიკიძე, მარიამ გურგენიძე, ნინო შარიქაძე, ნინო ლაცაბიძე).

- თქვენ მარტო მწერალი კი არა, იმავდროულად ხატმწერიც ბრძანდებით, ამ ბიოგრაფიული რომანით თქვენ ნამდვილად აკაკის სიტყვიერი ხატი შექმენით. ხატი განუმეორებელი, ხატი სრულყოფილი - ამ სიტყვებით დაასრულა წიგნის მიმოხილვა ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა მერი გიორგიძემ.

სტუმრებიცა და მასპინძლებიც მოიხიბლნენ მეცხრეკლასელი ანა მაჭავარიანის მიერ საოცარი დეკლამაციით წაკითხული „მთაწმინდის მთვარით“, სევდიანი „სამი ლექსით,“ რომელიც პოეტმა მიხეილ ქვლივიძემ შექმნა ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებული აკაკის პირადი წერილების შთაგონებით (დეკლამატორები: მარიამ კიკნაძე, ნათია თაბუკაშვილი, ელენე ბუაჩიძე).

განა შეიძლება დამსწრეთა სმენიდან ამოიშალოს ანა მაჭავარიანის მიერ ვიოლინოზე შესრულებული ვაჟა აზარაშვილის „ტანგო“ (აკომპანიატორი დარეჯან გვაძაბია) და სალომე კვირიკაშვილის („იმერეთის ხმა“) სიმღერა „საქართველოო, სამშობლოვ ჩემო!“

მწერალმა ამომწურავი პასუხები გასცა მოსწავლეების: ნინო ტალახაძის, მარიამ ავალიშვილის, ამანდა ხვედელიძის, გურამ ლურსმანაშვილის, მონიკა ბუცხრიკიძის, მასწავლებელ კობა ჭიპაშვილის შეკითხვებს. ისაუბრა თავისი შემოქმედებითი გეგმებისა და იმ შრომატევადი სამუშაოების შესახებ, რასაც საარქივო მასალების ძიება მოითხოვს.

განსაკუთრებული სიყვარული გამოხატა შეხვედრის ყველაზე პატარა მონაწილის, მეექვსეკლასელ გურამ ლურსმანაშვილის მიმართ, როცა ბიჭუნამ პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდან შეახსენა მწერალს, თუ როგორ სთხოვდა ერთ-ერთი ძალოვანი მინისტრი გიდს სხვიტორში აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის დათვალიერების შემდეგ, აკაკის საფლავზეც მიეყვანათ. მას აკაკი მშობლიურ სოფელში ეგონა დაკრძალული. ასევე უპირველესი ქართველი ჩინოსანი ფილმ „ბაში-აჩუკის“ პირველი საგანგებო ჩვენების დროს ცრემლიანი თვალებით აქეთ -იქით იყურებოდა და თურმე აკაკი წერეთელს ეძებდა, ეს 1956 წელს იყო. ამ დროს 4 ათეულ წელზე მეტი იყო გასული, რაც დიდ მგოსანს მთაწმინდაზე დაედო ბინა. რას გვირჩევთ, ელგუჯა ბაბუ, ასეთ ფაქტებზე „ვიცინოთ თუ ვიტიროთ?“ ამ შეკითხვაზე მწერალმა უპასუხა, „მოვიქცეთ ისე, როგორც აკაკი მოიქცეოდა - ვიცინოთ ტირილამდე!“

ღონისძიებაზე იმყოფებოდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა საღამოს ორგანიზატორებს და დასძინა, რომ ელგუჯა თავბერიძე და გიზო თავაძე ყოველთვის სასიამოვნო სტუმრები იქნებიან ხარაგაულისათვის. „ბატონი ელგუჯა გახლავთ გამორჩეული ადამიანი. მახარებს, რომ ხმალამოღებული აგროვებს ცნობებს აკაკი წერეთლის მოღვაწეობის ჯერ კიდევ უცნობი დეტალების შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ისეთ სახალხო მგოსანზე, როგორიც აკაკი წერეთელია, ხდება „თავდასხმები“. მიკვირს მათი, ვინც ამას აკეთებს, რა მიზანი აქვთ? ალბათ ის, რომ მგოსნის სიყვარული ამოგვგლიჯონ გულიდან, დააკნინონ მისი მოღვაწეობა. თუმცაღა ამის ძალა, საბედნიეროდ, მათ არ შესწევთ. მადლობა აქ შეკრებილ საზოგადოებას მსგავსი შეხვედრების ორგანიზებისათვის. აკაკი წერეთლის ღვაწლის ჩვენი საზოგადოებისათვის იმ თვალით დანახვა, როგორც ამას ბატონი ელგუჯა აკეთებს, ძალზე მნიშვნელოვანია.“

შთაბეჭდილება გაგვიზიარა, ა(ა)იპ რეზო თაბუკაშვილის სახელობის ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის დირექტორმა იზა ვეფხვაძემ.

„დღეს მრავალმხრივი მიზეზი მაქვს იმისა, რომ მქონდეს ამაღლებული განწყობა. ვარ ჩემს მშობლიურ სკოლაში და ჩემი მოსწავლეობიდან ათწლეულების შემდეგ ისევ მოვისმინე ჩემი მერი მასწავლებლის გაკვეთილი. დღეს ამ სკოლის სტუმარი გახლავთ მართლაც გამორჩეული პიროვნება, მწერალი და პროზაიკოსი, ელგუჯა თავბერიძე. ბოლო დროს ძალიან „მომრავლდნენ“ მწერლები და პოეტები. ხშირად მიწევს მათ საღამოებზე სტუმრის სტატუსით ყოფნა. ღონისძიების დასრულების შემდეგ ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს - თუ რა მომცა კონკრეტულმა საღამომ და ვხვდები, რომ, ჩემდა საუბედუროდ, არაფერი. ჭეშმარიტი მწერალი ძალიან ცოტა დაგვრჩა. ამ ფონზე კი ბედნიერი ვარ, რომ არსებობს ბატონი ელგუჯა თავბერიძე. ბატონი ელგუჯა XXI საუკუნის დიდი მამულიშვილია. იგი მოგცემს ისეთ რჩევას, რომელიც შენს სამშობლოს უსათუოდ გამოადგება. შეუძლებელია, ბატონო ელგუჯა, თქვენი ღვაწლისა და შემოქმედების ერთ დღეში მიმოხილვა, მაგრამ მთავარია, რომ ეს იყო დიდი სიყვარულის გამოძახილი.“

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა დავით კიკნაძემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ, ცოდნის ტაძარში - საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასეთი ღონისძიების ჩატარება მნიშვნელოვანია. დაბის N2 საჯარო სკოლის დირექტორმა, ვალერი გოგნაძემ, კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება მწერლის შემოქმედებაზე და აღნიშნა, რომ იგი არა მარტო კარგი პროზაიკოსია, არამედ ლექსის კარგი მცოდნეცაა.“ მესამე საჯარო სკოლის ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, ვენერა კიკნაძემ, მადლობა გადაუხადა მწერალსა და მის თანმხლებ პირებს მობრძანებისათვის და ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებისათვის შემოქმედ ადამიანებთან შეხვედრას.

გიზო თავაძე - პოეტი, პროზაიკოსი, ჟურნალ „მწვანეყვავილას“ რედაქტორი:

„მიხარია, რომ სკოლა იწვევს მწერალს. როდესაც ჩემმა მეგობარმა, ელგუჯა თავბერიძემ, შემატყობინა ამის შესახებ, წამოსვლას სიამოვნებით დავთანხმდი. სკოლამ კი არა, საბავშვო ბაღმაც რომ მიგიწვიოს, უარი არ უნდა თქვა და პატარების აზროვნების ჩარჩოს უნდა მოარგო შენი სათქმელი. დღეს ჩვენ ამ მშვენიერ სკოლაში ერთი ლამაზი გაკვეთილი ვიხილეთ დიდ აკაკი წერეთელზე.“

„ხარაგაული ჩემთვის არა მარტო იმერეთში, არამედ მთელ საქართველოში გამორჩეულია. აქ ნიჭიერი ახალგაზრდობაა, აქ ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველი ხელისუფლებაა, აქ საყოველთაოდ აღიარებული ქალბატონი იზა ვეფხვაძეა, რომელიც ეროვნული სულისკვეთებით შთაგონებული სპექტაკლებით ასაზრდოებს ადამიანთა სულებს. დიდი მადლობა ყველა იმ პიროვნებას, ვინც ასეთი პატივი დამდო და უმშვენიერეს ახალგაზრდობას - ჩვენი ქვეყნის მომავალ მესაჭეს - შემახვედრა”-დასძინა ღონისძიების დასასრულს ელგუჯა თავბერიძემ.

**ეკა შავიძე**

# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს შეხვდნენ



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები პროექტის „ბეჭდური მედია - ორის“ ფარგლებში ხარაგაულის გამგებელს, ბატონ კობა ლურსმანაშვილს შეხვდნენ. პროექტი 4 წელია ხორციელდება, რომლის ფარგლებშიც მომავალი ჟურნალისტები საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტს სტუმრობენ. ისინი ინტერესდებიან მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების შესახებ, ატარებენ გამოკითხვას და განხორციელებულ სოციალურ თუ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ეცნობიან. ბატონმა კობამ მადლობა გადაუხადა სტუდენტებს სტუმრობისთვის, ამომწურავად უპასუხა მათ ყველა შეკითხვას და სამომავლო გეგმებიც გააცნო.

პროექტის ხელმძღვანელის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოცირებული პროფესორის, მაია ტორაძის ინფორმაციით, ხარაგაულზე გაკეთდება ჟურნალი, რომელიც სავარაუდოდ 64 — 80 გვერდიანი იქნება.

„ოთხი წლის წინ დავიწყეთ რეგიონებში გასვლა. ამჯერად იმერეთის რეგიონს ვსტუმრობთ. ჩვენ ვეძებთ მთავარ გზავნილებს მუნიციპალიტეტებში. ვაკეთებთ ჟურნალებს, ვიდეო-სიუჟეტებს, ფოტო-გამოფენებს. პროექტში ჩართული სტუდენტები შეისწავლიან რაიონებს, თავისი ინფრასტრუქტურით, განვითარების კუთხით, როგორ ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, განვითარების რა პერსპექტივა აქვს მუნიციპალიტეტს და ა.შ. ახალგაზრდები აღფრთოვანებულნი არიან რამდენი რამ კეთდება ხარგაულის მუნიციპალიტეტში. რაც ჩამოვედით კინოთეატრი არ გვინახავს დაკეტილიო - ამბობენ ისინი. სპორტული აქტივობები თითქმის ყოველდღიურად მიმდინარეობს. ძალიან მინდა ხალხმა ხარაგაული გაიცნოს ისეთი, როგორიც არის.“ - აღნიშნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოცირებულმა პროფესორმა, მაია ტორაძემ.

**ეკა შავიძე**

# ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება „ღამე მუზეუმში“ გაიმართა

21 მაისს ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება „ღამე მუზეუმში“ გაიმართა.

ამ დღეს მოწვეულმა სტუმრებმა მუზეუმში დაცული ექსპოზიციები თეატრალიზირებული ღონისძიებების თანხლებით დაათვალიერეს. მუზეუმში არსებული ყველა ეპოქის დარბაზი გაცოცხლდა. დამთვალიერებლებს ქვის ხანის, ბატონყმობისა და კომუნისტური ეპოქიდან პატარა მსახიობთა მიერ წარმოდგენილი „გაცოცხლებული“ პერსონაჟები მასპინძლობდნენ და იმ ეპოქების შესახებ ესაუბრებოდნენ, რომელსაც ასახიერებდნენ. მუზეუმში ასევე გაიხსნა ნახატების ახალი საგამოფენო დარბაზი. მუზეუმის დირექტორის მოადგილემ, ეკა შველიძემ, საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი ექსპოზიციების შესახებ საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა სტუმრებს.

ექსპოზიციის დათვალიერების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. მუზეუმის დირექტორმა ნინო დიდიძემ აღნიშნა, რომ მუზეუმმა მიმდინარე წელს ყველაზე დიდი შემოწირულობა მიიღო. მან მუზეუმის ყველაზე პატარა შემომწირველს, ლუკა ვეფხვაძეს, მადლობა გადაუხადა, ხოლო შემოწირულობისათვის მადლობის დიპლომით დაჯილდოვდა ზვარეში მცხოვრები, ქართული ენისა და ლიტერატურის ხანდაზმული პედაგოგი, ეთერ ბიძინაშვილი, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო ღონისძიებას ვერ ესწრებოდა. ასევე მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ მუზეუმის ღონისძიებებში აქტიურად ჩართული ახალგაზრდები.



21 მაისს პროექტი „ღამე მუზეუმში“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით საქართველოს ყველა მუზეუმში გაიმართა.

ღონისძიების მიზანი ახალგაზრდებს შორის მუზეუმების პოპულარიზებაა.

# „მოყვასისათვის შეწირულები“ მოყვასისთვის შეწირულის უნივერსიტეტში



რეზო თაბუკაშვილის სახელობის ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრის რეჟისორის, სცენარისტისა და მსახიობის, ქალბატონ იზა ვეფხვაძის, საავტორო სპექტაკლი „მოყვასისათვის შეწირულები“ საქართველოს მრავალ სოფელსა თუ ქალაქში იქნა ნაჩვენები, რომელსაც მოჰყვა მაყურებელთა დიდი კმაყოფილება. ამ სპექტაკლის ნიჭიერად შექმნილ სცენარში ხომ მაქსიმალურად გამოვლინდა ბუნება ქართველისა, რომელსაც ძალუძს, საკუთარი სიცოცხლე უყოყმანოდ დათმოს მოყვასის გადასარჩენად.

განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სპექტაკლს მაშინ, როცა ის იმართება მოყვასისათვის შეწირულის მშობელ კუთხეში, ან იმ სცენაზე, სადაც მაყურებელი წმინდანის შთამომავალია.

- განსაკუთრებით ვღელავდი 11 მაისს - აღნიშნა ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ, რადგან სპექტაკლი წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში იმართებოდა. ჩემთვის უნდა მოესმინათ უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ვახტანგ ფერაძეს, წმინდანის ძმისშვილს, პროფესორ რომანოზ ფერაძეს, პროფესორ ილია ფერაძეს, წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის საზოგადოების წევრებს, წმინდანის გზით მავალ სტუდენტობას, პროფესორ-მასწავლებლებს, მშობლებს. მაგრამ უფლის მადლით, შეიძლება ითქვას, რომ, როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

პროფესორი ვახტანგ ფერაძე - წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი - „ჩვენი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები და სტუდენტები აღფრთოვანებული ვართ რეზო თაბუკაშვილის სახელობის ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრის სპექტაკლით - „მოყვასისათვის შეწირულები“. გაოცებული ვართ ქალბატონ იზა ვეფხვაძის ნიჭით, ტალანტით, შინაგანი ენერგიით, ცოდნით, მეხსიერებით, სცენურობით, მეტყველების კულტურით, არტისტიზმით, მჭევრმეტყველებითა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით. იგი დაამშვენებდა მსოფლიოს ნებისმიერი თეატრის სცენას. ლიტერატურული სპექტაკლი ახალი სიტყვაა ქართულ ხელოვნებაში. ქალბატონმა იზამ სცენაზე გააცოცხლა ჩვენი დიდი წინაპრები, ჩვენი დიდი გმირები, წარმოაჩინა მათი ღვაწლი. ქართული მხატვრული სიტყვის მაღალი ოსტატობით გაგვიცოცხლა წმინდანი გრიგოლ ფერაძე, რომელმაც თავი გაწირა მოყვასის სიცოცხლის გადასარჩენად. ჩვენ განვიცადეთ საოცარი ემოციური წუთები, დარბაზი ცრემლს ვერ მალავდა...

ქალბატონი იზა ღვთიურ დიდ საქმეს აკეთებს, რომელიც, უპირველესად, ჩვენი ახალგაზრდების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის უდიდეს საქმეს ემსახურება. ასეთ ქართველთა მაგალითებზე უნდა იზრდებოდეს ჩვენი მომავალი თაობა. თქვენი თეატრის მოღვაწეობა არის ძალიან დიდი ეროვნული საქმის საწინდარი.

დიდი მადლობა თქვენ, ქალბატონო იზა, იმ წუთებისათვის, რაც განგვაცდევინეთ, ვნებათაღელვისა და აღფრთოვანებისათვის. დიდი მოლოდინით ველოდებით თქვენს თეატრთან მომავალ შეხვედრებს...

პროფესორი ილია ფერაძე: „11 მაისი შთამბეჭდავი ფერებით ჩაიწერება ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებაში. ამ დღეს მოეწყო ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, მშობლებისა და მოწვეული სტუმრების შეხვედრა - წმინდა გრიგოლ ფერაძის საზოგადოებასთან. მოწვეული გვყავდა ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი იზა ვეფხვაძის ხელმძღვანელობით. წარმოდგენილმა სპექტაკლმა, რომელიც ეხება მოყვასისათვის შეწირულებს, წმინდა გრიგოლ ფერაძეს, მიქაელ თამარაშვილს, მამა ილია კარტოზიასა და პროფესორ იოსებ ჟორდანიას, ჩვენზე უდიდესი ზემოქმედება მოახდინა. ფეხზე წამომდგარი დარბაზი ხანგრძლივი ოვაციებით დიდხანს არ უშვებდა სცენიდან ნიჭიერ მსახიობს, სპექტაკლის ავტორსა და რეჟისორს, ქალბატონ იზა ვეფხვაძეს. მინდა გაუწყოთ, რომ უნივერსიტეტის რექტორისა და წმინდა გრიგოლ ფერაძის საზოგადოების თანათავმჯდომარის წინადადებით, დღეიდან, 20016 წლის 11 მაისიდან, ქალბატონ იზა ვეფხვაძეს მიენიჭა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტისა და წმინდა გრიგოლ ფერაძის საზოგადოების საპატიო წევრის წოდება.“

**P.S. აღნიშნულ უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის დარგს ვეუფლებოდი. მახარებს ამ დიდი სასწავლო ცენტრის წინსვლა და ჩემი სამკვიდრო რაიონის, ხარაგაულის, ლიტერატურული თეატრის მიერ მის სცენაზე მოპოვებული კიდევ ერთი აღიარება.**

**ოთარ ლურსმანაშვილი**

# ლეო ანთაძე ხარაგაულელი მაყურებლის წინაშე მონო-სპექტაკლით „ბახტრიონით“ წარდგა



17 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კინოთეატრში მსახიობ ლეო ანთაძის მონო-სპექტაკლი გაიმართა. მსახიობი მაყურებელთა წინაშე ვაჟა-ფშაველას უკვდავი პოემა „ბახტრიონით“ წარსდგა, რომელსაც მსმენელს ინტერესით და დიდი სიყვარულით უკითხავდა. „ბახტრიონის“ ჩვენება პირველად 2012 წელს ლეო ანთაძის სახლში შედგა, რომლისთვისაც მსახიობი ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიით დაჯილდოვდა.

პროექტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული ფილარმონიის მხარდაჭერით ხორციელდება. ხოლო ხარაგაულში ლეო ანთაძეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი მასპინძლობდა.

# ხარაგაულის „ჩხერიმელამ“ წარმატებით იასპარეზა



21 მაისს ხარაგაულის „ჩხერიმელა“ ზუგდიდის „ოდიშს“ დაუპირისპირდა. თამაში „ჩხერიმელას“ გამარჯვებით 1:0 დასრულდა. პირველი ტაიმის მეორმოცე წუთზე გოლი მოწინააღმდეგის კარში ალექსანდრე სულაძემ გაიტანა. საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა“ პირველ ლიგაში თამაშობს. ამ თამაშით დასრულდა საქართველოს ჩემპიონატის პირველი ტური, რომელშიც ხარაგაულის „ჩხერიმელამ“ წარმატებით იასპარეზა და სატურნირო ცხრილში მეთერთმეტე ადგილი შეინარჩუნა.

ხარაგაულის „ჩხერიმელას“ ამ გადამწყვეტ მატჩს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ლევან კობიაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, ვეტერანი ფეხბურთელები, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები და ფეხბურთის გულშემატკივრები ესწრებოდნენ. თამაშს მოგვიანებით შემოუერთდნენ მარგვეთისა და უბისის ეპარქიის ეპისკოპოსი მელქისედეკი(ხაჩიძე) და ხარაგაულის ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველო სახლის წინამძღვარი მამა ანტონი (სულთანიშვილი).

დასასრულს, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, ფასიანი საჩუქრით დააჯილდოვეს „ჩხერიმელას“ ყველაზე ერთგული გულშემატკივარი თამარ სახვაძე.

# „ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში ხარაგაულში მწერლებთან შეხვედრა გაიმართა



15 მაისს ხარაგაულის კინოთეატრმა პროექტ „ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში მწერლებსა და პოეტებს უმასპინძლა. ხარაგაულში მოსწავლე-ახალგაზრდობასთან შესახვედრად ჩამოვიდნენ მაკა ლდოკონენი, თამარ ფხაკაძე, ირმა მალაციძე, გივი ჩიღვინაძე, გოჩა სხილაძე, ტორესა მოსი და თეა თოფურია. შეხვედრაზე მათ საზოგადოებას თავიანთი ლექსები და პროზაული ნაწარმოებებიდან ამონარიდები წაუკითხეს.

შეხვედრა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გაიმართა. შეხვედრას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

პროექტი „ცოცხალი წიგნები“ ორი წელია, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ხორციელდება, რომლის ავტორები არიან მარიამ წიკლაური და ქეთი დუმბაძე. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს „ცოცხალი წიგნები“ დასახელდა წლის საუკეთესო პროექტად. მასში ჩართული მწერლები და პოეტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონს სტუმრობენ და საზოგადოებას თავიანთ შემოქმედებას აცნობენ.

პროექტის მონაწილე, პროზაიკოსი, მაკა ლდოკონენი: „ჩვენი მიზანია მსმენელთან წიგნი მივიტანოთ. ეს წიგნი მას დაამახსოვრდება, დაინტერესდება, მოიძიებს და წაიკითხავს. ჩვენ ვცდილობთ, სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები ავარჩიოთ და გავითვალისწინოთ მკითხველთა ასაკობრივი ზღვარი, რომ ყველა ასაკის მკითხველისთვის საინტერესო შეხვედრა გამოგვივიდეს. აღსანიშნავია, რომ რეგიონის ავტორებიც ჩართული არიან ამ პროექტში. ვიცი, რომ ხარაგაულში წიგნის მოყვარული ხალხი ცხოვრობს. აი, თუნდაც თქვენი თეატრი, საბავშვო სპექტაკლები - ეს ამის დასტურია.“

**მარიანა ბურჯალიანი**

# „ბოლო ზარი“ საჯარო სკოლებში



20 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 20 საჯარო სკოლაში „ბოლო ზარი“ ერთდროულად დაირეკა. სკოლის კედლებს 220 მეთორმეტეკლასელი დაემშვიდობა. ამ მარადსახსოვარი დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაბის N2 და N3 საჯარო სკოლებში საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძე და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი ესწრებოდნენ.

N2 საჯარო სკოლაში XII კლასელებმა სკოლის დამთავრება ღონისძიებით აღნიშნეს. კურსდამთავრებულები იუმორისტული, მუსიკალური, ქორეოგრაფიული და სხვა დასამახსოვრებელი ნომრებით წარდგნენ სტუმრების წინაშე. თითოეულმა მხიარულება და სითბო დატოვეს სკოლის კედლებსა და პედაგოგთა გულებში. კურსდამთავრებულებს მალე მეტად საპასუხისმგებლო ჯერ საატესტატო, შემდეგ კი ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება მოუწევთ. მათ მიერ სკოლის კედლებში გავლილი თორმეტწლიანი შრომითი გზა გვაძლევს რწმენას, რომ მიაღწევენ დასახულ მიზანს, დაეუფლებიან სასურველ პროფესიას და ჩადგებიან ჩვენი ქვეყნის გაძლიერება - წინსვლის საქმეში.

„ვფიქრობ, ეს თქვენთვის არაა „ბოლო ზარი“. ვიცი, რომ თქვენი უმრავლესობა უმაღლესში ჩააბარებს, სწავლას გააგრძელებს და მათთვის იქაც დაირეკება ზარი. წარმატებებს გისურვებთ ცხოვრების იმ გზაზე, რომელსაც თქვენ აირჩევთ.“ - აღნიშნა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ.

სკოლის დამთავრება N2 საჯარო სკოლის მოსწავლეებს დირექტორმა, ვალერი გოგნაძემ, მიულოცა: „გილოცავთ დღევანდელ დღეს. დღევანდელი დღე ჩვენი სკოლისთვის მნიშვნელოვანია, წელს საიუბილეო წელი გვაქვს. N2 საჯარო სკოლის პირველი გამოშვებიდან 75 წელი გავიდა. მჯერა, რომ ეს ახალგაზრდები წარმატებებს მიაღწევენ. დაბრუნდებიან ხარაგაულში და მუნიციპალიტეტის ცხოვრების ფერხულში, აქტიურად ჩაებმებიან.“

მეთორმეტე კლასელებს სკოლის დამთავრება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ და საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ვარლამ ჭიპაშვილმა.

მომავალმა პირველკლასელებმა ლექსები წაიკითხეს და ასე მიესალმნენ კურსდამთავრებულებს.

ამ ეტაპზე ხარაგაულის სკოლებში 180 პირველკლასელია რეგისტრირებული. აღსანიშნავია, რომ პირველკლასელთა რეგისტრაცია 30 ივნისს სრულდება.

**თამარ მაღრაძე**

# ხარაგაულში ეროვნული სამოსის დღე აღინიშნა

18 მაისი მუზეუმების საერთაშორისო დღეა. მსოფლიო მასშტაბით მუზეუმებში ამ დღეს სხვადასხვა სახის ღონისძიება ეწყობა. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ხარაგაულის ისტორიული მუზეუმიც (დირექტორი ნინო დიდიძე) შეუერთ-



და. მუზეუმების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს ეროვნული სამოსის დღესთან დაკავშირებით, ხარაგაულის მუზეუმიდან მსვლელობა მოეწყო. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ ხარაგაულელებს გზად წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველოს წინამძღვარი, მამა ანტონი (სულთანიშვილი), გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი, ირინე ჩხეიძე, ცენტრალური ბიბლიოთეკისა და გამგეობის თანამშრომლები შეუერთდნენ. თამაზ კიკნაძის სკვერში ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა ხარაგაულის კულტურის სახლის თანამშრომლებმა ძველი ქართული ხალხური სიმღერები შეასრულეს. ღონისძიების ფარგლებში ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში „მოხალისე გიდებმა“ მსვლელობის მონაწილეებს მცირე ექსკურსი მოუწყვეს.

# ხარაგაულში პროექტ „საქართველოს ეროვნული პლატფორმის“ პრეზენტაცია გაიმართა

16 მაისს ხარაგაულის ინოვაციების ცენტრს „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA)“ წარმომადგენლები: ნინო ხუხუა და მაკა ცერცვაძე ესტუმრნენ. შეხვედრა საინფორმაციო ხასიათს ატარებდა. სტუმრებმა მოწვეულ საზოგადოებას პროექტი „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა“ წარუდგინეს.

სააგენტოს წარმომადგენელმა, მაკა ცერცვაძემ, დეტალურად ისაუბრა პროექტის შესახებ და იმედი გამოთქვა, რომ ხარაგაულში არსებული არასამთავრობო იურიდიული პირები პროექტში ჩაერთვებიან.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა“ წარმოადგენს ყველაზე დიდ კოალიციას საქართველოში, რომელიც აერთიანებს 149 ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას. ფორუმის მიზნებია: საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ევროპული ინტეგრაციის პროცესის შესახებ; ბიზნესის განვითარების, მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა; განათლებისა და ტრენინგის ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის განვითარება და სხვა.

„ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის, ნინო ხუხუას, განცხადებით, სააგენ-



ტო გახლავთ იმერეთის რეგიონში ეროვნული პლატფორმის წარმომადგენელი ორგანიზაცია, რომლის მიზანიცაა სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მოხდეს საზოგადოების ეროვნული პლატფორმის შესახებ ინფორმირება.

საქართველოს ეროვნულ პლატფორმაში გაწევრიანება შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ არაკომერციულ იურიდიულ პირებს.

**მარიანა ბურჯალიანი**

## სამძიმარი

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ღირსეული პიროვნება, საზოგადოების კეთილდღეობისათვის აქტიური მებრძოლი**

**ტოგო გოლას ძე ხიჯაკაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## განცხადება

გაცნობებთ, რომ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო იწყებს მოხალისეობის განვითარების პროგრამის „საქართველოს მოხალისე“-ს განხორციელებას.

პროგრამის ფარგლებში კონკურსის საფუძველზე თითო მუნიციპალიტეტიდან შეირჩევა 2 მოტივირებული მოხალისე 17-დან 25 წლამდე. შერჩეული ახალგაზრდები ერთი წლის ვადით მიიღებენ „საქართველოს მოხალისის“ სტატუსს.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა კანდიდატებმა კონკურსის პირველ ეტაპზე რეგისტრაცია უნდა გაიარონ http://youth.gov.ge/home 11 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით. კონკურსის მეორე ეტაპზე გავლენ სააპლიკაციო ფორმების საფუძველზე შერჩეული კანდიდატები.

კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულ კანდიდატებთან მოხდება გასაუბრება, რის შედეგადაც თითოეულ მუნიციპალიტეტში გამოვლინდება 2 გამარჯვებული.

კულტურის , განათლების, სპორტისა და ახლაგაზრდობის საქმეთა სამსახური.

**გამომცემელი** ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 32 25; ტირაჟი 1500 ცალი
**დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“**
**დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12**